

აქციის გამო რუსთავედზე ტრანსპორტის მოძრაობის სქემა დაწესდა



პარლამენტთან აქციის მონაწილეების მიერ რუსთაველის გამზირის გადაკეტვის გამო შესტრანსპორტის მოძრაობის სქემას აქვეყნებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი გაცნობებთ, რომ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციის გამო, N 1 საჯარო სკოლიდან 9 აპრილის ქუჩის და რუსთაველის გამზირის კვეთამდე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის მოძრაობა დაკეტილია, შესაბამისად ავტომანქანები იმოძრავენ შემდეგი მიმართულებებით:

შოთა რუსთაველის გამზირიდან თავისუფლების მოედნის მიმართულებით მოძრავი ავტომანქანები ისარგებლებენ ჭიჭინაძის ქუჩით (N 1 საჯარო სკოლასთან), ძმები ბუბაღაშვილების ქუჩის გავლით და 9 აპრილის ქუჩით დაბრუნდებიან რუსთაველის გამზირზე.

ასევე, რუსთაველის გამზირიდან (N 1 საჯარო სკოლასთან) მარჯვენა სანაპიროს მიმართულებით მოძრავი ავტომანქანები ჩავდენ ჯორჯაძის ქუჩაზე, საიდანაც თაბუკაშვილის ქუჩის გავლით გააგრძელებენ მოძრაობას.

ხოლო, თავისუფლების მოედნიდან ვარდების მოედნის მიმართულებით მოძრავი ავტომანქანები რუსთაველის გამზირიდან (კინოთეატრ „რუსთაველთან“) ჩავდენ ანტონ ფურცველაძის ქუჩაზე და მოძრაობას

თაბუკაშვილის ქუჩაზე გააგრძელებენ. საიდანაც ჭანტურის ქუჩის გავლით ავტომანქანების ნაკადი მოხვდება რუსთაველის გამზირზე და გააგრძელებს მოძრაობას პირველი რესპუბლიკის (ყოფილი ვარდების) მოედნის მიმართულებით“- ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

წუხედ პარდამენტთან აქციის მონაწილეებმა კარვები გზის სავად ნაწილზე გადაიტანეს. ზაზა სარაღიძის თქმით, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე აქციები პერმანენტურ ხასიათს მიიღებს. ამჟამად რუსთაველის გამზირი პარდამენტის შენობის წინ კვავ გადაკეტილია. აღვირზე სამი კარავია გაშრილი.